თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის დომინანტი ინსტიტუციური აქტორები და პოლიტიკური სტაბილურობა

რეზიუმე

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის დემოკრატიულ ტრანზიციას დომინანტი ინსტიტუციური აქტორების ფუნქციური სტრატეგიები განსაზღვრავს. ინსტიტუციური წესრიგი დემოკრატიის სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენა თავისი ინსტიტუციური აქტორული პოლარიზებით გამოირჩევა; პოლარიზება დესტრუქციულობისა და კრიზისული სიტუაციების წარმოშობის მუდმივი სინდრომი გახდა. პოლიტიკურ სცენაზე დამკვიდრდა დომინანტური ინსტიტუციური პარტიული მმართველობა, რომელიც ავტორიტარიზმისა და ავტოკრატიის წარმოშობის მიზეზი ხდება. დომინანტური ინსტიტუციური სისტემა თავისი ირაციონალური ტენდენციებით გამოირჩევა, რომელიც დემოკრატიის სტაბილურობას აზიანებს. პოლარიზება და ექსტრემიზმი ქართული პოლიტიკური სცენისა და დემოკრატიული ტრანზიციის მუდმივი სინდრომი გახდა. საზოგადოებაში ძლიერდება ინსტიტუციური ნიჰილიზმი, რომელსაც ციკლური პერიოდულობით ლეგიტიმური წესრიგი კრიზისში შეჰყავს. ქართული პოლიტიკური ოპოზიციის ფუნქციური სტრატეგია დესტრუქციულობა და რევოლუციური სცენარები გახდა, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს პოლარიზებას. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი თავისი კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალით დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; მათი პოლიტიკური პორტრეტები მოძველებულია, რაც სახელმწიფოებრივი პრაგმატული პოზიციის გამოხატვას ვერ ახერხებს. ოპოზიციური ინსტიტუციური აქტორები იდეოლოგიურ კრიზისშია, რაც პოლიტიკურ სტაბილურობას სერიოზულად აზიანებს.

პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია პოლიტიკური ელიტა და ლიდერი, რომლებიც სიტუაციურად აზროვნებენ და გარდამტეხ პერიოდებში გადამწყვეტ როლს ასრულებენ; მათი პროფესიონალიზმი და რაციონალური პრაგმატულობა განაპირობებს ინსტიტუციურ სტაბილურობას. პოლიტიკური ელიტის რეკრუტირება და ცირკულაცია გარკვეული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა; მათი პოლიტიკურ-კულტურული თვითდამკვიდრება სერიოზულ განახლებას საჭიროებს. ქართულ პოლიტიკურ სცენაზე შეიმჩნევა პოლიტიკური ლიდერების ავტორიტარული და ავტოკრატიული თვისებების გამოვლენა. პოლიტიკური ლიდერი თავისი დემოკრატიული და რაციონალური მიდგომებით გამორჩეული უნდა იყოს; მისმა ავტორიტეტმა და კონსესუალურმა მიდგომებმა უნდა აღმოფხვრას პოლიტიკური სცენის პოლარიზება და დესტრუქციულობა. ინსტიტუციური წესრიგი ქართული პოლიტიკური სცენის სტაბილურობის გადამწყვეტი ფაქტორი უნდა გახდეს.



გურამ აბესაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



ნოდარ აბესაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების დოქტორანტი

DOMINANT INSTITUTIONAL ACTORS OF THE MODERN GEORGIAN POLITICAL SCENE AND POLITICAL STABILITY

Guram Abesadze
Doctor of Political Science, Professor
at Sokhumi State University,
Head of Policy Science

Nodar Abesadze
Doctor of Social Sciences
of Georgian Technical University

SUMMARY

The democratic transition of the modern Georgian political scene is determined by the functional strategies of the dominant institutional actors. Institutional order is the most important factor in the stability of democracy. The modern Georgian political scene is distinguished by its institutional actor polarization; Polarization has become a permanent syndrome of destructiveness and emergence

of crisis situations. A dominant institutional party rule has been established on the political scene, which is the reason for the emergence of authoritarianism and autocracy. The dominant institutional system is distinguished by its irrational tendencies, which damage the stability of democracy. Polarization and extremism have become a permanent syndrome of the Georgian political scene and democratic transition. Institutional nihilism is strengthening in the society, which periodically brings the legitimate order into crisis. The functional strategy of the Georgian political opposition has become destructiveness and revolutionary scenarios, which further deepens polarization. The opposition political spectrum with its cultural-intellectual potential cannot meet the requirements of the time; Their political portraits are outdated, which fails to express the state's pragmatic position. The opposition institutional actors are in an ideological crisis, which seriously damages the political stability.

An important factor of political stability is the political elite and leaders who think situationally and play a decisive role in transitional periods; Their professionalism and rational pragmatism lead to institutional stability. The recruitment and circulation of the political elite faced certain problems; Their political-cultural self-assertion needs serious renewal. Authoritarian and autocratic qualities of political leaders can be observed on the Georgian political scene. A political leader should be distinguished by his democratic and rational approaches; His authority and consensual approach should eliminate the polarization and destructiveness of the political scene. Institutional order should become a decisive factor in the stability of the Georgian political scene.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის სტაბილურობასა და დემოკრატიული ტრანზიციის დინამიკურობას პოლიტიკური აქტორი განსაზღვრავს. ტრანზიტულ პოლიტიკურ სისტემაში ეს თემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რადგანაც საქართველოში ინსტიტუციური აქტორების მოღვაწეობა და ფუნქციური სტრატეგიები ყოველთვის არ გამოირჩევა თავისი რაციონალურობითა და პრაგმატულობით. ზოგჯერ პოლიტიკურ სივრცეებს ისეთი ძალები იკავებენ, რომლებიც თავისი ექსტრემისტული და ავანტიურისტული პოზიციით გამოირჩევიან და ზიანი მოაქვთ ქართული სახელმწიფოსათვის. გამოიკვეთა ზოგიერთი მათგანის ვიწროკლანური ინტერესები, რომლებიც ერთიანად ანგრევენ ქართველი ერის პოლიტიკურ კონსოლიდაციას; თანამედროვე ქართულ ინსტიტუციურ აქტორულ სივრცეში ნამდვილად იგრძნობა პოლარიზების სინდრომის მომძლავრება, რომელსაც დეგრადირებამდე მიჰყავს პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედებების კულტურა. მივიჩნიეთ, რომ ეს თემა წინა პლანზე ყოფილიყო წამოწეული, რადგანაც ქართული პოლიტიკური სცენა რაციონალური აქტორების მხრივ ნამდვილად განებივრებული არ არის; ამასთანავე, დეპოლარიზაცია, რომელიც საქართველოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატის მიღებასთან დაკავშირებით ევროკომისიის 12-პუნქტიან მოთხოვნაში არის მითითებული, ინსტიტუციური აქტორების პრაგმატული მოღვაწეობის გარეშე შეუძლებელია გადაწყდეს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის ინსტიტუციური აქტორული სივრცე პოლიტიკურ-კულტურულ ტრანზიციას მოითხოვს, რადგანაც სახელმწიფოებრივი რაციონალურობა და ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ახლებური გააზრება დროის მოთხოვნა გახდა.

1. დომინანტური ინსტიტუციური აქტორები თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სცენის უპირველეს აქტორს პოლიტიკური ინსტიტუტები წარმოადგენს, რომელიც პოლიტიკური პროცესის დინამიკურობის განსაზღვრელია. პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციური დიზაინი ჯერჯერობით არ ატარებს სტაბილურ ხასიათს და თავისი სტრუქტურითა და ღირებულებითი პლატფორმით მოუწესრიგებელ ველს წარმოადგენს. პოლიტიკურმა ტრანზიციამ გამოავლინა, რომ პოლიტიკური ინსტიტუტიზაციის პროცესი გარკვეულ სიტუაციებში დესტაბილიზაციის ელემენტებით საზრდოობს; პოლიტიკურმა სპექტრმა, თავისი უუნარობით, ვერ შეძლო მყარი ინსტიტუციური წესრიგის დამყარება, რომელიც თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებით იქნებოდა გამორჩეული. პოლარიზება ინსტიტუციური წესრიგის სტრატეგიული ფუნქციური ნიშანი გახდა, რაც სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეგრადირებას ახდენს. მუდმივმოქმედ სინდრომად იქცა დომინანტური აქტორული სისტემა, რომელიც გარკვეული ციკლური პერიოდის შემდეგ პოლიტიკურ კრიზისში შედის და თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის იმიტაციური დემოკრატიის ფორმებს იყენებს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი გაუცხოების ტენდენციები გამოკვეთილ ხასიათს იძენს, რაც დემოკრატიულ ტრანზიციას საფრთხეს უქმნის. ამერიკელი პოლიტოლოგი **ლინკოლნ მიტჩელი** აღნიშნავდა, რომ **თუკი საქართველოში შენარჩუნდება ერთი პარტიის დომინირება, რაც ხდებოდა კიდეც დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, მაშინ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება ჩიხში შევა. საქართველოში შეიძლება განმეორდეს ერთი პარტიის კონსოლიდაციისა და შემდეგ მისი დაცემის ციკლი. ეს კი ძალიან სამწუხარო იქნება, რადგანაც სწორედ ეს ციკლი უშლის ხელს საქართველოს დემოკრატიის განმტკიცებას.** [1]

დომინანტური ინსტიტუციური აქტორული ველი,

1 ლინკოლნ მიტჩელი-2017 წელს საქართველოს წინაშე მდგარი ოთხი კითხვა. 2017. http://georgianpress.ge/com/news/view/23819?lang=1

ხშირ შემთხვევაში, ავტორიტარიზმსა და ავტოკრატიაში გადაიზრდება, რაც თანამედროვე ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელი ტენდენცია გახდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შემდეგ ასეთი ფასადური დემოკრატიული პროცესები მუდმივ სინდრომად იქცა, რაც იწვევს ერთი პარტიის ხელში პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიზაციას; ერთპარტიული დომინანტური ძალაუფლება ავტორიტარულ სტილში ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას, რაც პოლიტიკური პოლარიოზების მიზეზი ხდება.

ქართულ პოლიტიკურ სცენაზე დომინანტური აქტორული ავტორიტარიზმის დამკვიდრებას ხელს უწყობს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების შერწყმა; ეს ორი კატეგორია ერთანეთის მიმართ ერთგვარი „პატრონაჟის“ ფუნქციებს ასრულებს. პოლიტიკური ძალაუფლება ქმნის ეკონომიკური ძალაუფლების მოპოვების შესაძლებლობებს, რამაც სახელმწიფოებრივი ინტერესები და ეროვნული პრაგმატიზმი პოლიტიკური პროცესის უცხო ელემენტად გადააქცია.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში დომინანტური ინსტიტუციური აქტორული მმართველობის თანმხლებ მოვლენად იქცა სახელმწიფო პარტიის სინდრომი, რომელიც ერთპარტულ ნომეკლატურულ სივრცეს წარმოადგენს. სახელმწიფო სტრუქტურები მთლიანად შერწყმულია ერთპარტიულ სისტემასთან, რაც სერიოზულად აფერხებს დემოკრატიის სტაბილურობას. ეს ირაციონალური სინდრომი ორი მიმართულებით ავლენს თავის ნეგატიურ შედეგებს: 1. ერთპარტიული ძალაუფლება გადაზრდილია ავტორიტარიზმში, რომელიც ემყარება გარკვეულ ნომეკლატურულ სივრცეს; 2. იზღუდება კომპეტენტური და პროფესიონალური კადრების გამოყენება, რომლებიც დომინანტი პარტიის იდეოლოგიას არ იზიარებენ; 3. სერიოზულად ვლინდება პოლიტიკურ პროცესებში ინტელექტუალური და პრაგმატულად მოაზროვნე კადრების დეფიციტი; 4. პოლარიზება გადაქცეულია პოლიტიკური მართვის ფორმად, რაც აძნელებს ეროვნული თანხმობისა და კონსოლიდაციის მიღწევას; 5. ზღუდავს შესაძლებლობას ახალი აქტორული ძალის გამოჩენისა, რომელმაც დემოკრატიული ტრანზიტის პირობებში ახალი აზროვნება უნდა დაამკვიდროს.[1]

პოლიტიკურ სცენაზე დომინანტურ აქტორებს შორის გაღრმავდა პოლარიზება, რაც საზოგადოების ნაწილის მკვეთრი ნიჰილიზმის გამოვლენის მიზეზი გახდა. პოლიტიკურ ველზე დესტრუქციულ ძალებს საშუალება მიეცათ გააქტიურებულიყვნენ და სახელმწიფოებრივი ინტერესების დეგრადირება მოეხდინათ. მივიღეთ ინსტიტუციური პოლარიზება და კრიზისი იმ აქტორებისაგან, რომლებიც თავისი ინტელექტუალური რაციონალურობითა და პრაგმატულობით არ გამორჩევიან და ზიანს აყენებენ ეროვნული იდენტობის მემკვიდრეობითი ელემენტების აღმავლობას.

2. პოლიტიკური ოპოზიცია - თანამედროვე პოლიტიკურ სცენაზე

თანამედროვე ქართულ დემოკრატიაში პოლიტიკური ოპოზიცია ვერ გადაიქცა დროსა და სივრცეში სიტუაციურად პრაგმატულ ინსტიტუციურ აქტორად; მის ფორმირებაში შეიძლება გამოვყოთ ორი ირაციონალური ტენდენცია, რომელიც კი არ სუსტდება, არამედ უფრო ძლიერდება და სოციუმში უიმედობის ელემენტებს აძლიერებს: 1. პოლიტიკური ოპოზიცია დესტრუქციულობის ელემენტებს აძლიერებს და დაპირისპირებისა და წარუმატებლობის სინდრომით ცდილობს ძალაუფლების მოპოვებას; 2. ინსტიტუციური სტაბილურობის მიღწევის მიზნით, გარკვეული ძალები ცდილობენ, შექმნან პოლიტიკური ოპოზიციის იმიტაციური და ფასადური სისტემა, რომელიც რევოლუციური და დესტრუქციული მისწრაფებებით ძალაუფლების მოპოვებას ცდილობს; ეს ორი შესამჩნევი ტენდენცია სახელმწიფოებრიობას ინსტიტუციურად ანგრევს და საზოგადოებაში პოლარიზების ელემენტებს უფრო აღრმავებს.

ქართული პოლიტიკური ოპოზიცია წარმოადგენს მრავალფეროვან სივრცეს, რომელსაც ხელისუფლების წინააღმდეგ დაპირისპირების ფორმად დესტრუქციულობა აქვს არჩეული და ვიწროპარტიულ ინტერესებს ემყარება. მთელი ოპოზიციური სპექტრი გამოირჩევა თავისი დომინანტი აზროვნებით, რომელიც მანიპულირებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და იმ პოლიტიკურ ნიჰილიზმზე, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში შეიმჩნევა. ოპოზიციური მოძველებული პორტრეტები ცდილობენ დესტრუქციული პოლარიზების ელემენტების შემოტანით გარკვეული სარგებელი ნახონ პოლიტიკაში; სამწუხაროდ, შესამჩნევია მათი პოლიტიკური პოტენციალის რაციონალურობისა და ეროვნული პრაგმატულობის დაბალი დონე, რომელმაც პოლიტიკურ-კულტურული ღირებულებითი სივრცის თანდათანობითი გაღარიბება გამოიწვია.

ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ინტელექტუალური დეგრადირება დესტრუქციულობის იდეოლოგიით საზრდოობს და რევოლუციურ-ექსტრემისტული ქმედებების გამოწვევით ცდილობს მიზნის მიღწევას. მათი პოლიტიკური ავანტიურიზმი პათოლოგიურ გამოვლინებას ემსგავსება, რომელიც საზოგადოების კულტურულ-ინტელექტუალურ გახლეჩას იწვევს.

დომინატურ ოპოზიციურ ძალად მიჩნეულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც კვლავ აგრძელებს თავის ექსტრემისტულ იდეოლოგიურ კონცეფციაზე მოღვაწეობითი სტილის აგებას; მას გარკვეული ნაწილი -„ევროპული საქართველოს“ სახით გამოეყო, რომელმაც მკვეთრად დააფიქსირა თავისი ევროპული მისწრაფებები; თუმცა, მათი ექსტრემისტული და ავანტიურისტული იდეოლოგიური პლატფორმა მიუღებელია ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის; აქედან გამომდინარე, ორივე ამ განშტოებას

1 გ. აბესაძე. დომინანტი ინსტიტუციური აქტორები ქართულ პოლიტიკაში და დემოკრატიის სტაბილურობა.„ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეხუთე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2021, გვ.215-216



ელექტორალურ სივრცეში თავისი პრაგმატული ავტორიტეტულობა დაკარგული აქვს და მხოლოდ კლანური შეფასებითი მიდრეკილებებით მოღვაწეობენ. ეს არის ორივე ამ აქტორის კრიზისის მაჩვენებელი; ისინი კვლავ კმარასეული ექსტრემისტული იდეოლოგიური პლატფორმებით ცოცხლობენ და ირაციონალურობისა და დესტრუქციულობის ელემენტების ძიებით მთელ პოლიტიკურ სცენაზე დომინანტობას ცდილობენ.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენა მოითხოვს ახალ ოპოზიციურ ინსტიტუციურ აქტორულ სისტემას, რომელიც რაციონალურობასა და სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე იქნება დამყარებული. ეს სულისკვეთება ქართულ საზოგადოებაში ნამდვილად იგრძნობა, რადგანაც პოლიტიკური სცენის ინსტიტუციური კრახი სახეზეა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციური სპექტრი გაკოტრდა, რასაც პოლიტიკურ კრიზისად აღიქვამენ. საქართველოში ინსტიტუციური კრიზისი ნამდვილად თვალში საცემია, რადგანაც ოპოზიციური პორტრეტები მოძველდნენ და თანამედროვე გამოწვევებს ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე ვერ აკმაყოფილებენ. პოლიტიკური ოპოზიციის ეს დეგრადირებული ელემენტები და ავტორიტეტის არმქონე მათი ლიდერები უფრო მეტი ძალისხმევით ცდილობენ დესტრუქციულობის შემოტანას, რაც სოციუმის მკვეთრ რეაქციას იწვევს. ამიტომ, ქართველი ერი სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად ეძებს ახალ ძალას, რომელიც უფრო თავისი ინტელექტითა და პრაგმატიზმით გამორჩეული იქნება.

3. პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკური ლიდერი - პოლიტიკური სტაბილურობის აქტორი

თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური ტრანზიციის პრიორიტეტებსა და დემოკრატიზაციის დინამიკურ პროცესებს პოლიტიკური ელიტა განსაზღვრავს. საქართველოში ძველი ნომენკლატურული ელიტა თანდათანობით შეიცვალა ახალი ელიტით, რომელიც თავისი პროფესიონალიზმითა და სიტუაციური აზროვნებით ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს. დომინანტური პარტია ყოველთვის ცდილობდა საკადრო პოლიტიკაში მოწინავე პოზიციაზე ყოფილიყო და ახალი პოლიტიკური ელიტის თავისი მოდელი შეექმნა, რაც ყოველთვის დასახულ მიზანსწრაფვას არ ემსახურებოდა. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდგომ პერიოდში ვერ შეიქმნა ეროვნული ღირსებით აღსავსე პოლიტიკური ელიტა, რომელიც პერიოდული ციკლურობით გარკვეულ კრიზისულ სიტუაციებში შედიოდა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკური ტრანზიციის ელიტას თავისი ბოლშევიკური და რევოლუციური სულისკვეთება და განწყობილება ყოველთვის დაჰკრავდა და რთულ პერიოდებსა და კრიზისულ სიტუაციებში კომპრომისულ რიტორიკასა და პრაგმატულ მიდგომებს ვერ ახერხებდა. სამოქალაქო დაპირისპირებისა და მუდმივი პოლარიზების სინდრომი პოლიტიკური ელიტების ცირკულაციის რადიკალურმა და ექსტრემისტულმა მიდგომებმაც განაპირობა.

ქართულ პოლიტიკურ სცენაზე პოლიტიკურ ელიტა, რომელსაც, ძირითადად, პოლიტიკური ხელისუფლება წარმოადგენს, პოლიტიკური რიტორიკისა და კომპრომისული პოლიტიკის დეფიციტს შესამჩნევად განიცდიდა; ეს ირაციონალური ტენდენციები ნაციონალური მოძრაობის დომინანტური მმართველობიდან იჩენს თავს და თანამედროვე პერიოდამდე გრძელდება; ის პოლიტიკური ენა და სამოქმედო სტანდარტები, აგრესიულობა და უხეშობა, შეურაცხმყოფელი ტონალობა და დამთრგუნველი რითმი აღარ ისმის, მაგრამ „მტრის ხატის“ ძიება მაინც გრძელდება, რაც პოლარიზებას კიდევ უფრო აღრმავებს. ერთპარტიული ნომენკლატურული ელიტური სისტემა კვლავ შენარჩუნებულია, რაც კლანური ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს; ამიტომაც არის ქართული სახელმწიფოებრიობა თავისი თვითდამკვიდრების ძიების პერიოდში,

რადგანაც პოლიტიკურმა ელიტამ ვერ შეძლო მკვეთრი სისტემური რეფორმირების განხორციელება. პოლიტიკურ ელიტასა და საზოგადოებას შორის არსებული პოლარიზება აძლიერებს სამოქალაქო დაპირისპირებას, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს ინსტიტუციურ კრიზისს. ასეთი ფონის პირობებში პოლიტიკური ელიტა ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეკრუტირებას, რაც ახალ სიტუაციურ აზროვნებას უნდა დაემყაროს; მკვეთრი ცვლილებებისათვის მხოლოდ გარეშე აქტორებისაგან იღებენ რჩევებს, რომელთაც ყოველთვის გააზრებული არ აქვთ ქართული მენტალური თვისებები; ამიტომ, მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური ელიტას ესაჭიროება სერიოზული პოლიტიკურ-ინტელექტუალური და პროფესიონალური გადახალისება, რომელიც ერის პოლიტიკური იდენტობის ტრანზიციის გამოკვეთილი აქტორი გახდება.

პოლიტიკურმა ელიტამ უნდა შეძლოს პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებული ტემპით შემობრუნება, რაც უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ინტელექტუალურ და პროფესიონალ ავტორიტეტებს. შესამჩნევია, რომ ხელისუფლება ინტელექტუალური პოტენციალის დეფიციტს განიცდის, რაც საზოგადოების პოლარიზების მიზეზი ხდება; ინტელექტთან გაუცხოება ერის დამახასიათებელი ნიშანიც შეიქნა, რამაც პოლიტიკურ სივრცეში გარკვეული ნიჰილიზმი დაამკვიდრა. ერი თანდათან კარგავს ინტელექტუალურ ელიტასა და თვითაზროვნების კულტურულ პოტენციალს, რაც ეროვნული პოლიტიკური იდენტობის გაგების დეგრადაციას იწვევს.

პოლიტიკური ლიდერის ინსტიტუტი ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური სივრცის რაციონალურობისა და დემოკრატიის სტაბილურობის პროცესში; ლიდერის გაწონასწორებული ხასიათი, პოლიტიკურ აქტორებთან მისი თანამშრომლობის სტილი, რიტორიკა, პოლიტიკურ-ინტელექტუალური პოტენციალი და გამოცდილება, პოლიტიკური ალღო და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების სტილი მნიშვნელოვანი ინდივიდუალური პიროვნული თვისებებია, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკური სივრცის სტაბილურობას. გაუწონასწორებელი და ავანტიურისტული ქცევების მქონე ლიდერები ირაციონალურობისა და მუდმივი დესტრუქციულობის საფუძვლებს ქმნიან და საზოგადოებაში პერმანენტულად რევოლუციის სინდრომს ამკვიდრებენ.

ნაციონალური მოძრაობის ძალაუფლების პერიოდში აგრესიულობა და რადიკალიზმი პოლიტიკურ ლიდერთა ფართოდ გავრცელებული ნიშან-თვისება გახდა, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა დემოკრატიის სტაბილურობა. საზოგადოების განწყობილებაც საპასუხო აგრესიულ სტილში განიცდიდა ფორმირებას, რამაც მასობრივი ფსიქოზი გამოიწვია და პათოლოგიური პროცესები განავითარა. პოლიტიკური შიზოფრენია და პათოლოგიური პროცესები, ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის თვითდამკვიდრებისა და თვითკმაყოფილების თავისებური ფორმა გახდა. ავტოკრატიული სტილი, მოჩვენებითობა, ფასადი, იმიტაციური ნარატივები და მანიპულირების სხვადასხვა ელემენტები საზოგადოებაში ერთგვარი შიზოფრენული სივრცის შექმნას უწყობდა ხელს; მათ მიერ ეს იყო მცდელობა ე.წ. პათოლოგიური საზოგადოების შექმნისა, რაც ირაციონალურ ძალაუფლებას განამტკიცებდა და სამოქალაქო სივრცეს დათრგუნავდა.[1]

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცე აქტორული თვალსაზრისით ლიდერზე ორიენტირებულად რჩება; ლიდერი განსაზღვრავს პოლიტიკური მოძრაობის პრიორიტეტებს და პოლიტიკურ-მარკეტინგული მოღვაწეობის ფორმებს; ინსტიტუციური უწესრიგობაში, რომელსაც თან ერთვის იდეოლოგიური ვაკუუმი, საზოგადოების ლიდერზე ორიენტირება კიდევ უფრო გამოკვეთილი რჩება. მასობრივი პოლიტიკური აზროვნება მხოლოდ ლიდერისაგან ელოდება სიტუაციის გარდატეხას და მისგან რადიკალურ ტრანზიციას ელოდება. ამიტომ, გარდამავალი პერიოდი ლიდერის ავტორიტეტისა და კომპეტენტურობის გარეშე სტაბილურობას ვერ შეინარჩუნებს. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე სიტუაციაში ორი განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია პოლიტიკურ ლიდერს: 1. თავისი ავტორიტეტული ძალაუფლებით ლიდერმა უნდა შეინარჩუნოს ინსტიტუციური სტაბილურობა და მოახდინოს საზოგადოების მობილიზაცია დემოკრატიული ტრანზიციის განსახორციელებლად; 2. გამოავლინოს ეროვნული რაციონალურობა და პრაგმატიზმი, რომელიც პოლიტიკური დემოკრატიის ინსტიტუციური გარდაქმნის საფუძველი გახდება.

დასკვნა

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სივრცის მთელ დინამიკურ პროცესებს პოლიტიკური აქტორები წარმართავენ, რაც ძალიან მრავალფეროვან ხასიათს ატარებს. პოლიტიკურ სცენაზე გამოკვეთილია რამდენიმე დომინანტი ინსტიტუციური აქტორი, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს განსაზღვრავს. გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებიც პოლიტიკურ ტრანზიციას განიცდიან, მნიშვნელოვანია ინსტიტუციური წესრიგის დამყარება. პოლიტიკური ინსტიტუტები წარმოადგენენ ქართულ პოლიტიკურ სისტემაში მთავარ შემოქმედ პოლიტიკურ აქტორებს, რომლებსაც სტაბილური ფუნქციონირება ნამდვილად არ ახასიათებთ; შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციურად ქართული პოლიტიკური სივრცე მკვეთრად პოლარიზებულია, რადგანაც მათ მოღვაწეობაში ბევრი ირაციონალურობა არის გამოიკვეთილი; ქართულ პოლიტიკურ ინსტიტუციურ აქტორებს აკლიათ პრაგმატიზმი და კონსენსუალური მიდგომების კულტურა, რაც პოლიტიკურ პროცესში ექსტრემისტულ და ავანტიურისტულ მიდგომებს აძლიერებს.

პოლიტიკურ სივრცეში თავისი აქტორული პოზიციით გამოირჩევა პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც ვერ ჩამოყალიბდა კონსტრუქციულ ძალად, რადგანაც

1 გ. აბესაძე, თ. გოგბერაშვილი. პოლიტიკურ-კულტურული სივრცის რაციონალურობის პარადიგმები საქართველოში. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2019, გვ.54

მათი მოღვაწეობითი სტრატეგია დესტრუქციულობის პლატფორმებზეა აგებული. პოლიტიკური ოპოზიცია ინტელექტუალური პოლიტკური კულტურისა და პრაგმატიზმის სერიოზულ დეფიციტს განიცდის, რადგანაც მათ არ გააჩნიათ ერთიანი იდეოლოგიური კონცეფცია, რომელიც ეროვნულ და სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე იქნება აგებული. ამიტომ, საზოგადოება რაციონალური პოლიტიკური აქტორის ძიებაშია, რომელიც უფრო კონსტრუქციული და სახელმწიფოებრივ ინტერესებზე იქნება ორიენტირებული.

ქართული პოლიტიკური სივრცის ყველაზე გამოკვეთილი აქტორი უნდა იყოს პოლიტიკური ელიტა, რადგანაც მან უნდა გაარკვიოს დემოკრატიული ტრანზიტის ღირებულებითი პრიორიტეტები და ერს მისცეს თავისი პოტენციალის გამოვლენის საშუალება; სამწუხაროდ, პოლიტიკური ელიტა სრულ უუნარობას ავლენს კრიზისულ სიტუაციებში და ვერ ითვალისწინებს ლატენტური პროცესების მიმდინარეობას; ასეთივე სიტუაციაში არიან პოლიტიკური ლიდერებიც, რომლებიც გარდამტეხ პერიოდებში აქტიურდებიან, მაგრამ რადიკალურ და სისტემურ ცვლილებებს ვერ ახორციელებენ და დემოკრატიულ ტრანზიტს თავიანთი ავტოკრატიული მიდგომებით აფერხებენ. ამას თან ერთვის ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის მიერ მასობრივი ფსიქოზისა და ნიჰილიზმის დამკვიდრება, რასაც პოლიტიკური მიზნის მიღწევის საშუალებად იყენებენ; ასეთი ლიდერები ქმნიან მუდმივი დაძაბულობისა და დესტრუქციულობის კლიმატს, რომელიც პათოლოგიური პროცესების განვითარებას უწყობს ხელს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეს ესაჭიროება ეროვნულად გამოკვეთილი და პრაგმატულად მოაზროვნე პოლიტიკური ელიტა და ლიდერები, რომლებიც თანამედროვე გლობალური და ეროვნული აზროვნებით გამოირჩევიან.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სცენაზე პოლიტიკური აქტორების პოზიცია და მიზანმიმართული საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით უნდა გამოიკვეთოს:

1. დემოკრატიული ტრანზიტის პირობებში წინა პლანზე იქნას წამოწეული ინსტიტუციური აქტორების ფუნქციური როლი პოლიტიკური პლურალიზმის გაღრმავებასა და პოლარიზაციის აღმოფხვრაში;

2. პოლიტიკურ სცენაზე ინსტიტუციური-აქტორული მოღვაწეობა აგებული უნდა იყოს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, რომელმაც უნდა აღმოფხვრას ირაციონალურობისა და დესტრუქციულობის სინდრომი საზოგადოებაში;

3. პოლიტიკური ოპოზიციური აქტორული სივრცე ახალი ინტელექტუალური პორტრეტებით უნდა შეივსოს, რომლებიც გამორჩეულნი იქნებიან თავიანთი სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-პრაგმატული აზროვნებით;

4. პოლიტიკური ელიტისა და ლიდერების შერჩევის გამოკვეთილ კრიტერიუმებად უნდა იქცეს პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, სახელმწიფოებრივი და რაციონალურ-პრაგმატული აზროვნება;

5. პოლიტიკური ტრანზიციის პროცესში პოლიტიკური აქტორების უპირველესი მიზანსწრაფვა უნდა იყოს ერის პოლიტიკური კონსოლიდაციისა და დემოკრატიის სტაბილურობის მიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. აბესაძე. დომინანტი ინსტიტუციური აქტორები ქართულ პოლიტიკაში და დემოკრატიის სტაბილურობა. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეხუთე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2021, გვ. 210-21;

2. გ. აბესაძე, თ. გოგბერაშვილი. პოლიტიკურ-კულტურული სივრცის რაციონალურობის პარადიგმები საქართველოში. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2019;

3. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერება და ეროვნული იდენტობა. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამესამე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2019, გვ. 229-236;

4. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. სამოქალაქო სივრცის რაციონალურობა და დემოკრატიული ტრანზიცია საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. ივლისი-დეკემბერი, N 2, 2021, გვ. 9-13;

5. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. პოლიტიკური სოციალიზაცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. იანვარი-ივნისი, N1, 2022, გვ. 31-39;

6. ნ. აბესაძე. ეროვნული იდენტობა და თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დემოკრატიული ტრანზიცია. „ფილოსოფიური ძიებანი“ / კრებული ოცდამეხუთე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2021, გვ. 220-228;

7. ამერიკული კვლევითი ცენტრის The Heritage Foundaton-ის ანალიტიკოსის ლუკ კოფის გამოხმაურება ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებაზე. https://www.newposts.ge/news/politica/kofi-saqartvelo-am-jgufis-lideri-iyo-sirtskhvilia-rats-khdeba;

8. ევროკომისიის 12 მოთხოვნა - რა უნდა გააკეთოს საქართველომ, EU-ს კანდიდატის სტატუსის მისაღებად. /ს. გვიანიძე, 17 ივნისი, 2022/ https://www.radiotavisupleba.ge/a/31902732.html?fbclid=IwAR3wMCmeNLZsUKmq-sUXs9gjf6GvyqU0S1GacdW0e-CY4d1zrf6bB7aHNrw ;

9. ლინკოლნ მიტჩელი. 2017 წელს საქართველოს წინაშე მდგარი ოთხი კითხვა. http://georgianpress.ge/com/news/view/23819?lang=1;

10. თომას დე ვაალი: ღია საქართველო, დახურული საქართველო. 2017. https://jam-news.net/ge/post-author/tomas-de-vaali-carnegie-europe/.